ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 80
12/08/2015

80-08-4-201508121641

განკარგულება

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N108 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე- 2 პუნქტის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. ცვლილება შევიდეს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N108 განკარგულების პირველ მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შეიქმნას ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია, თანახმად „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის #525 ბრძანებულებისა, შემდეგი შემადგენლობით:

- მალხაზ ჩხიკვაძე -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; ქონების მართვის,ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის კომიისის თავმჯდომარე;

- მაია გიორგაძე -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; ფრაქცია“ ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარე;

- ზვიად მამალაძე -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;

- ბექა შენგელია - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი;

- კახი მეფარიშვილი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი გარემოს დაცვის საკითხებში;

- ანტონ ბერძენიშვილი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საინვესტიციო გარემოს განვითარებისა და ანალიტიკური სამსახურის წამყვანი სპეციალისტი საინვესტიციო ღონიძიებების დაგეგმვის, განხორციელებისა და ანალიზის საკითხებში;

- გრიგოლ ხურციძე - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია ზემოსვანეთის მომსახურების ცენტრის სპეციალისტი.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. NN4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა